ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. დეკემბრის 31. № 26 ნაწილი

## შინაარსი

სამხედრო საქმე

337. კავკასიის წითელდროშიანი არმიის არსებობის ხუთმეტი წლის თავის აღნიშვნის შესახებ.

სამოქალაქო სამართალი

338. სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

339. სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

340. 1933 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის პერიოდში მევენახეობის ხაზით საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

341. უძროხო კოლმეურნეებისათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

342. ოთხფეხი საქონლის დამზადების გეგმის წარმატებით შემსრულებელ პირთა დაპრემირების შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა

343. 1933 წლის შემოდგომაზე ნათესი საზაფხულო კულტურების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

განათლება

344. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების მოწყობის შესახებ.

345. კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის დაწესებულებათა მოსაწყობად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისათვის მეტეხის ციხის გადაცემის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა

346. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი, მიხა ცხაკაიას სახელობის, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი, მიხა ცხაკაიას სახელობის, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამხედრო საქმე

### 337. დადგენილება ც. ა. კ.

**კავკასიის წითელდროშიანი არმიის არსებობის ხუთმეტი წლის თავის აღნიშვნის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, კავკასიის წითელდროშიანმა არმიამ, სამოქალაქო ომის ცეცხლში შექმნილმა, განვლო რევოლუციის შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლის დიდი გმირული გზა.

როგორც სახელოვანი მე-XI წითელი არმიის მენაცვლეს, კავკასიის წითელდროშიან არმიას შესისხლხორცებული აქვს ოქტომბრის, მონაპოვართა შეიარაღებული დამცველის საბრძოლო ტრადიციები და აგრეთვე აქვს დიდი წარმატებანი საბრძოლო და პოლიტიკური სწავლის საქმეში და მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაში.

ბაქოს დიდებამოსილ პროლეტარიატთან სოციალისტურ შეჯიბრებაში მყოფი მრავალეროვნოვანი კავკასიის წითელდროშიანი არმია ნამდვილი განსახიერებაა ლენინური ეროვნული პოლიტიკისა და საუკეთესო მაგალითი თავისი რიგების ინტერნაციონალურად შეკავშირებისა.

კავკასიის წითელდროშიანი არმიის არსებობის 15 წლის თავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიადგენს:

**1.** წითელი ყაზარმის დათვალიერებასთან ერთად გამოცხადებულ იქნეს სასწავლო პუნქტების და სამხედრო კუთხეების დათვალიერება ტერიტორიალური ნაწილების დაკომპლექტების რაიონებში.

დათვალიერება დამთავრებულ იქნეს დეკემბრის 1-ს.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ უშუალო მონაწილეობა წითელი ყაზარმებისა, სასწავლო პუნქტებისა და სამხედრო კუთხეების დათვალიერების ჩატარებაში საჭირო მყუდროების შესაქმნელად ყაზარმებსა, კლუბებსა და ლენინის კუთხეებში, სასროლეთებისა, სასწავლო ველებისა, მინიატურ-პოლიგონებისა, ტირებისა და საგიმნასტიკო ადგილების მოსაწყობად და სასწავლო პუნქტებისათვის სასწავლო დამხმარე წიგნების და სხვა მისთ. შესაძენად.

წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას, არმიის პოლიტიკურ სამმართველოსთან ერთად, შეაჯამოს მიმდინარე წლის დეკემბრის 1-თვის დათვალიერებისათვის ჩატარებული მუშაობა მოწინავე რაიონების დასაჯილდოებლად.

2. დაევალოს გორის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—დაამთავროს 1934 წლის იანვრის 1-თვის ქ. გორში არმიის თავმდგომთა შედგენილობისათვის სახლის შენება.

დაევალოს ტფილისის საქალაქო საბჭოს—1934 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა გადადებულ იქნეს სახსარი ტფილისის გარნიზონისათვის მომსახურეობის გასაწევად მექანიკური სამრეცხველოს ასაშენებლად.

3. დაევალოს ტფილისის, ქუთაისის და ბათომის საქალაქო საბჭოებს დააწესონ წითელი არმიის სახლებისათვის შეღავათები კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის გადახდის სფეროში.

4. დაევალოს ტფილისის საქალაქო საბჭოს—გამოძებნოს 5—6 ოთახიანი სადგომი საინტერნატოდ არმიის თავმდგომთა შედგენილობის ბავშვებისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—გამოყოს საქართველოს სსრ სანატორიუმებსა და დასვენების სახლებში ათი სასეზონო საწოლი არმიის თავმდგომთა შედგენილობისათვის.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინო-ფოტო მრეწველობის სამმართველოს—უზრუნველყონ სამხედრო მსახურთათვის თეატრებსა და კინოებში შესასვლელი ფასის 50%-ით დაკლება, ხოლო დამკვრელ სამხედრო მსახურთათვის უფასო ადგილები თეატრებსა და კინოებში.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ნოემბრის 5
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 257 №-ში 1933 წ. ნოემბრის 6.

---

## სამოქალაქო სამართალი

### 338. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. $68^1$ და $68^2$ მუხლებში (საქ. სსრ. კან.კრ. 1927 წ. მე-5 №-ი, მუხ. 78) ამოიშალოს სიტყვები: „თემის აღმასრულებელ კომიტეტს" და "თემის აღმასრულებელ კომიტეტში" და შემდეგ სიტყვა „და".

2. 69 მუხლში სიტყვა „დეკრეტით" შეიცვალოს სიტყვად „დებულებით".

3. $205^3$ და $205^4$ მუხლებში (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 72) მინიშნება: „სისხლის სამართლის კოდექსის 192 მუხლისამებრ“ შეიცვალოს მინიშნებად: „სისხლის სამართლის კოდექსის 184 მუხლისამებრ (1928 წლის რედაქცია)“.

4. $205^8$ მუხლში (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 72) მინიშნება: „სისხლის სამართლის კოდექსის 199 მუხლით“ შეიცვალოს მინიშნებად: „სისხლის სამართლის კოდექსის 192 მუხლით (1928 რედაქცია)“.

5. 265 მუხლის 1-ლ შენიშვნაში (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-5 №-ი, მუხ. 77) ამოიშალოს სიტყვები: „თემის აღმასრულებელმა კომიტეტმა“.

6. 296 მუხლში, მის მე-3 შენიშვნაში, 298,300 და 306 მუხლებში და 316 მუხლის შენიშვნაში სიტყვები: „სავაჭრო რეესტრი“ შეიცვალოს სიტყვებად: „სამეურნეო ბრუნვაში მონაწილე საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა სახელმწიფო რეესტრი“.

7. 294 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 1. განცხადება სრული ამხანაგობის რეგისტრაციის შესახებ უნდა შეიცავდეს იმ ცნობებს, რასაც მოითხოვს სამეურნეო ბრუნვაში მონაწილე საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის დებულება (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 99)“.

8. 314 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-ი, მუხ. 167) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„314. განცხადება ნდობის ამხანაგობის რეგისტრაციის შესახებ უნდა შეიცავდეს ცნობებს, რასაც მოითხოვს სამეურნეო ბრუნვაში მონაწილე საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის დებულება (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 99)“.

9. 374 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„374. პიროვნების დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნეს იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა დადგა თვით დამაზღვეველის ან მესამე პირის სიცოცხლესთან დაკავშირებული მოვლენა.

მესამე პირის სიკვდილის საშემთხვეოდ დაზღვევის ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ დასაზღვევი პირის წერილობითი თანხმობით“.

10. $375^3$ მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 72) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„$375^3$. უკეთუ სიკვდილის საშემთხვეოდ დაზღვეულია არა თვით დამაზღვეველი (მუხ. 374), სარგებლობის მიმღები პირის დანიშვნა ან შემდგომ შეცვლა (მუხ. $375^2$) შეიძლება მხოლოდ დაზღვეული პირის წერილობითი თანხმობით“.

11. 421 მუხლის მე-3 შენიშვნაში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 175) ამოიშალოს სიტყვები: „საკრედიტო-კოოპერატიული“ და „სასოფლო-სამეურნეო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. 69 და 70 მუხლების დანართში—დებულება კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-2 №-ი, მუხ. 49):

ა) მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. რეკვიზიციად ითვლება სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის, იძულებით და საზღაურით ისეთი ქონების ჩამორთმევა ან დროებით დაჭერა, რაც კერძო პირის (ფიზიკური და იურიდიული) და აგრეთვე კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელშია“.

ბ) მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. მე-3 მუხლის თანახმად რეკვიზირებული ქონების საზღვაურის რაოდენობას განსაზღვრავს კომისია სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს) პრეზიდიუმის წევრის თავმჯდომარეობით და ადგილობრივი საფინანსო განყოფილების წარმომადგენლისა, აგრეთვე შემდეგ ადგილობრივ განყოფილებათა წარმომადგენლების შედგენილობით: ადგილობრივი მეურნეობის (კომუნალური) განყოფილებისა—უკეთუ სარეკვიზიციოა შენობა, სამრეწველო საწარმო ან მისი გაწყოფილობა, სამიწათმოქმედო განყოფილებისა—უკეთუ სარეკვიზიციოა ოთხფეხი საქონელი ან სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის საგნები, და მომარაგების განყოფილებისა—ყველა სხვა შემთხვევაში“.

მე-4 მუხლის 1,2,3 და 4 შენიშვნები დატოვებულ იქნეს ძალაში.

გ) მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. კონფისკაციად ითვლება სახელმწიფოს სასარგებლოდ იძულებით და უსაზღაუროდ ქონების ჩამორთმევა კანონით ზედმიწევნით განსაზღვრულ შემთხვევაში სასამართლოს განაჩენისამებრ ან საამისოდ კანონით უფლებამოსილი სხვა სახელმწიფო ორგანოს განკარგულებისამებრ.

კონფისკაციით, ყოველ შემთხვევაში, როგორც სასამართლო, ისე საადმინისტრაციო წესით, არ შეიძლება იმ ქონების ჩამორთმევა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 39 მუხლშია აღნიშნული.

სისხლის სამართლის კოდექსის ამავე მუხლით დადგენილია ფარგალი სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა იმ ვალებისა და ვალდებულებებისათვის, რაც კონფისკებულ ქონებას ადევს“.

დ) მე-6 მუხლის 1 და 2 შენიშვნა ამოიშალოს.

ე) მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„7. საკონცესიო საწარმოთა ქონების რეკვიზიცია და კონფისკაცია სწარმოებს საერთო საფუძველზე, უკეთუ საკონცესიო ხელშეკრულება ამის თაობაზე სხვა რამ პირობას არ შეიცავს.

უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა ქონების რეკვიზიცია და კონფისკაცია, იმ ქონების გარდა, რაც აღნიშნულია ამა მუხლის პირველ ნაწილში, სწარმოებს საერთო საფუძველზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სსრ კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ხელშეკრულებით უცხო სახელმწიფოსთან დადგენილია განსაკუთრებული წესები“.

ვ) მე-13 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„13. კონფისკებული ქონების გამოყენების წესი განისაზღვრება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მაისის 28-ის დადგენილებით „კონფისკებული, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 32 №-ი, მუხ. 323; 1928 წ. 68 №-ი, მუხ. 624; 1929 წ. 31 №-ი, მუხ. 282; 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 75) და, თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის თებერვლის 28-ის დადგენილებისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 69), ზემოაღნიშნული დადგენილების განსავითარებლად გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო—1931 წლის თებერვლის 11-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე—5 №-ი, მუხ. 55)“.

**13.** 172 მუხლის დანართში—დეკრეტი „დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ“—(საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 53):

ა) მე-2 მუხლის „ი“ პუნქტში სიტყვები: „ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის“ შეიცვალოს სიტყვებად: „ტფილისის საქალაქო საბჭოს“.

ბ) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 82) სიტყვები: „სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადის მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის წარმოების წესებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 1 №-ი მუხ. 2)“ შეიცვალოს სიტყვებად: „გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის წესებით (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 23 №-ი, მუხ. 291)“.

გ) მე-11 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 177) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„11. განსაკუთრებული წესების დაცვით სწარმოებს გამოსახლება ადმინისტრატიული წესით:

ა) სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილი სახლებიდან—ყველა იმ პირისა, რომელიც არ იმყოფება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 53 №-ი, მუხ.342);

ბ) ტრანსპორტის კუთვნილი სადგომებიდან—იმ პირისა, რომელსაც არა აქვს კავშირი ტრანსპორტთან, ან რომელმაც დაკარგა მასთან კავშირი (სსრკ. კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 110; 1933 წ. 23 №-ი, მუხ. 132; ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 96);

გ) სათავდაცვო მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო მრეწველობის საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე სადგომებიდან—იმ პირისა, რომელსაც არა აქვს კავ-

შირი ამ საწარმოსთან, ან რომელმაც დაკარგა მასთან კავშირი (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-60 №-ი, მუხ. 327);

დ) მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავენერგოს" მიმდებარე ელექტროსადგურისა, ქვესადგურისა და თბოელექტროცენტრალის ტერიტორიაზე მდებარე სადგომებიდან—იმ პირისა, რომელსაც არა აქვს კავშირი ამ საწარმოსთან, ან რომელმაც დაკარგა მასთან კავშირი (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 47 №-ი, მუხ. 278);

ე) „გლავმუკას" საფქვავ-საბურღულე საწარმოს და „ზაგოტზერნოს" ელევატორის ტერიტორიაზე მდებარე სადგომებიდან—იმ პირისა, რომელსაც არა აქვს შრომითი კავშირი ამ საწარმოსთან და ელევატორთან (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 61 №-ი, მუხ. 364)".

დ) მე-$11^1$ მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ.—22 №-ი, მუხ. 235); მე-12 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 53) და $12^1$ მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 170) ამოიშალოს.

ე) მე-13 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„13. ინსტრუქციას ამა დეკრეტის შეფარდებისათვის გამოსცემს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი იუსტიციის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით."

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
სრ. საქ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.
სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1933 წ. დეკემბრის 14.
ტფილისი..

---

## 339. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის ქართულ რედაქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. 67 მუხლში სიტყვები: „გამწესრიგებელი დოკუმენტის" შეიცვალოს სიტყვებად: „საგანკარგულებო დოკუმენტის".

2. $105^{11}$ მუხლი (კან. კრ. 1929 წ. № 24, მუხ. 300) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„$105^{11}$. გადასამუშავებლად მიქცეული ქონების დაგირავება შეიძლება:

ა) ისე რომ დაგირავებული ქონება დასამუშავებლად დაეტოვოს დამგირავებელს, ან

ბ) ისე რომ საქონელი გადაეცეს გადასამუშავებლად მესამე პირს".

3. 136 მუხლის შენიშვნა (კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 72) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** ვინიცობაა ამ მუხლში აღნიშნული წესი დაცულ არ იქნება, მხარეთ, უკეთუ დავა აღიძვრის, უფლება არა აქვთ ხელშეკრულების დასადასტურებლად დაეყრდნენ მოწმეთა ჩვენებას, ხოლო შეუძლიათ კი გამოიყენონ წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები".

4. 212 მუხლის შენიშვნაში (კან. კრ. 1929 წ. № 20, მუხ. 222) სიტყვა „უკიდურეს" შეიცვალოს სიტყვად „ზღვრულ".

5. 231 მუხლში სიტყვები „აღრიცხვისა" და „აღრიცხვის" შეიცვალოს სიტყვებად „ხარჯთაღრიცხვისა" და „ხართაღრიცხვის".

6. $175^2$ მუხლის მეორე ნაწილი (კან. კრ. 1926 წ. № 4, მუხ. 91) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ვინიცობაა ხელშეკრულება წერილობით. არ დაიდო, მხარეთ, უკეთუ დავა აღიძვრის, უფლება არა აქვთ ხელშეკრულების დასადასტურებლად დაეყრდნენ მოწმეთა ჩვენებას, ხოლო შეუძლიათ კი გამოიყენონ წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები".

7. $275^5$ მუხლის 1 ნაწილი (კან. კრ. 1926 წ. № 4, მუხ. 91) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„კომისიონერი, უკეთუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პასუხს არ აგებს კომიტენტის წინაშე მესამე პირის მიერ იმ ხელშეკრულებით დაკისრებული ფულის გადახდისა ან სხვა რამ ვალდებულების შესრულებისათვის, რაც კომისიონერმა მესამე პირთან დასდო კომიტენტის ხარჯით."

8. $275^{16}$ მუხლის (კან. კრ. 1926 წ. № 4, მუხ. 91) პირველი წინადადება მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„კომიტენტი, რომელსაც კომისიონერის მიერ ხელშეკრულებაზე ხელის აღება ეცნობა, ვალდებულია ორი კვირის ვადაზე დღიდან ამ ცნობის მიღებისა განკარგოს ის საქონელი, რაც კომისიონერთან არის;".

9. 286,301 და 309 მუხლში სიტყვა „თვინიერ" შეიცვალოს სიტყვით „გარეშე".

10. 378 მუხლში სიტყვა „შეეთავსება" შეიცვალოს სიტყვად „შეეფარდებათ".

11. 419 მუხლი (კან. კრ. 1926 წ. № 3, მუხ. 63) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„419. კანონისამებრ ქონების დამკვიდრება მოხდება ყველა შემთხვევაში, რამდენადაც დამკვიდრების ეს წესი არ არის შეცვლილი ანდერძით".

სრ. საქ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1933 წ. დეკემბრის 14.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

### 340. დადგენილება ს.ქ.ს

**1933 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის პერიოდში მევენახეობის ხაზით საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მიუხედავად ზოგიერთი მიღწევისა მევენახეობის განვითარების სფეროში, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. ოქტომბრის 31-ის დადგენილების საფუძვლებზე, მაინც სასოფლო მეურნეობის ამ დარგის განვითარების საქმეში ჩანს ჩამორჩენილობა და დიდი ნაკლოვანებანი, როგორიც არის:

ა) როგორც ძველ, ისე ახალ ვენახთა და ამერიკული ვაზის სადედეთა ნარგავების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა უხეიროდ მოვლის გამო;

ბ) ახლად ჩაყრილ ვენახთა და ამერიკული ვაზის სადედეთა ფართობების თვალსაჩინო ნაწილის ამოვარდნა;

გ) ვენახებისა და ამერიკული ვაზის სადედეების მცირე მოსავლიანობა და აგრეთვე სანერგეებიდან ნამყენის გამოსავალის მცირე პროცენტი.

ყველა ეს იმის შედეგია, რომ როგორც ცენტრალური სამიწათმოქმედო ორგანოები, ისე სარაიონო საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები საკმარის ყურადღებას არ აქცევენ ამ დარგს.

ამ საქმეში გარდატეხის მიღწევისა და მევენახეობის რიცხვობითი და თვისებითი მაჩვენებლების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

#### 1. ნიადაგის დამუშავების და ვენახების გაშენების შესახებ.

**1. 1933 წლის შემოდგომაზე ჩასაყრელი ვენახების გეგმა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:**

| რაიონები: | ფართობი ჰექტარობით: ვენახები საბჭოთა მეურნეობებში. | ფართობი ჰექტარობით: ამერიკ. ვაზის სადედეები საბჭ. მეურ-ში. | ვენახებისა და ამერიკული ვაზის სადედეების ჩაყრის ვადები. |
|---|---|---|---|
| 1. გორის რაიონი . . . . . . . . . . . . | 28 | — | — |
| 2. სიღნაღის „ . . . . . . . . . . . . | 115 | — | — |
| 3. თელავის „ . . . . . . . . . . . . | 8 | — | — |
| 4. ბორჩალოს „ . . . . . . . . . . . . | 49 | 283 | — |
| 5. გარე-კახეთის . . . . . . . . . . . . | — | 10 | — |
| ს უ ლ . . . . . . . . | 200 | 293 | 1/XI—15/XII |

2. ჩატარებულ იქნეს მიმდინარე წლის შემოდგომაზე 1932 წელს და 1933 წლის გაზაფხულზე ჩაყრილ ახალ ნარგავთა აუცილებელი რემონტი დაფესვიანებული ნერგის ჩამატებით, ხოლო ოთხის წლისაზე უხნეს ნარგავთა რემონტი— მთელი ბუჩქის გადაწვენით (კატავლაკი); ამასთანავე, თითო დამყნილი ვაზიდან ერთზე მეტი გადაწვენა არ შეიძლება. ახალ ნარგავთა რემონტი უნდა მოხდეს ფოთლების გაცვენის შემდეგ—ნოემბრის 15-დან დეკემბრის 15-მდე, ხოლო გადაწვენა—1933 წ. ნოემბრის 15-დან 1934 წლის აპრილის 1-მდე.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოარკვიონ დასარემონტებელი ვენახების ფართობები და მისცენ მევენახეობის მეურნეობებს სათანადო კონკრეტული დავალებანი.

3. ამოთხრილ იქნეს სანერგეებიდან (სკოლა) და დახარისხდეს დასაფესვიანებლად ჩაყრილი ნამყნობი ვაზები ნოემბრის 10-დან დეკემბრის 10-მდე.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მისცენ სანერგეების მქონე საბჭოთა მეურნეობებს და კოლექტიურ მეურნეობებს კონკრეტული დავალებანი ამ სამუშაოს ჩასატარებლად. ნამყენის ამოთხრის გეგმა წარედგინოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს ნოემბრის 1-ისა.

4. ჩატარებულ იქნეს 1933 წლის შემოდგომაზე ნიადაგის მთლიანად დამუშავება (მოხვნა, გადაბარვა ან ღრმა გაფხვიერება თოხით) ვენახებისა და ამერიკული ვაზის სადედეების მთელ ფართობზე: აღმოსავლეთ საქართველოში— ნოემბრის 10-დან დეკემბრის 1-მდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში—ნოემბრის 10-დან მარტის 15-მდე, ვენახების ნიადაგის პირობებისა და ადგილმდებარეობის რელიეფის მიხედვით.

იმ ვენახებში, რომლებშიაც მოდებულია მარმარილოს ხოჭო, ნიადაგის დამუშავება დაწყებულ იქნეს ოქტომბრის 20-დან და დამთავრდეს ნოემბრის 10-თვის; ამასთანავე, ხოჭოს მატლი უეჭველად უნდა იქნეს ამოკრეფილი ხელით.

5. განისაზღვროს ნიადაგის მომზადების გეგმა 1934 წლის გაზაფხულზე ვენახების ჩაყრისათვის 100 ჰექტარ ფართობზე ხირსის საბჭოთა მეურნეობაში (სიღნაღის რაიონი), 50 ჰექტარ ფართობზე კონდოლის საბჭოთა მეურნეობაში (მევენახეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის საწარმოო ბაზისი) და 30 ჰექტარ ფართობზე „სამტრესტის" სხვა საბჭოთა მეურნეობებში. მიწა მოხნულ უნდა იქნეს 50 55 სანტიმეტრის სიღრმეზე; ეს ხვნა უნდა დამთავრდეს 1934 წ. იანვრის 1-თვის.

6. აიკრძალოს ვენახების გაშენება დაუფესვიანებელი (სათბურისა და სხვ.) ნამყენით.

7. აიკრძალოს 1933 წლის შემოდგომიდან ვენახების ნამყნობი ვაზით გაშენება უიმისოდ, თუ წინასწარ არ მოხდა ნიადაგის ანალიზი კირის შემცველობის ხაზით; ნიადაგის ანალიზის მოწყობა დაეკისროს: აღმოსავლეთ საქართველოში—მევენახეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტს, ხოლო დასავლეთ საქართველოში—საქარის ზონალურ საცდელ სადგურს.

ვენახებისა და ამერიკული ვაზის სადედეების დიდ მასივებად გაშენების დროს (საბჭოთა მეურნეობა, კოლექტიური მეურნეობა) სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული ნიადაგის დაწვრილებითი გამოკვლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. სარგავი მასალის განმზადების შესახებ.

8. საძირე მასალისათვის გაისხლას სამ და მეტწლიანი ამერიკული ვაზის სადედეები; თანაც რქა უნდა გაიწმინდოს, დაიჭრას და შეიკრას კონებად; ეს სამუშაო ჩატარებულ უნდა იქნეს ნოემბრის 15-დან დეკემბრის 20-მდე შემდეგ ფართობზე:

| რ ა ი ო ნ ე ბ ი: | ფ ა რ თ ო ბ ი ჰ ე ქ ტ ა რ ო ბ ი თ: | | | | ს უ ლ. |
|---|---|---|---|---|---|
| | საბჭოთა მეურნეობები | | სამეცნ. და სასწ. დაწესებ. | კოლექტიური მეურნეობ. | |
| | „სამტრესტისა“ | „აფხაზღვინტრესტის“ და სარ. ალმ. კ—ბისა | | | |
| 1. კასპის რაიონი . | 26,5 | — | — | — | 26,5 |
| 2. გურჯაანის „ . . | 88,89 | — | 1,9 | — | 90,8 |
| 3. სიღნაღის „ . . | 13,4 | — | — | — | 13,4 |
| 4. თელავის „ . . | 30,8 | — | — | 11,5 | 42,3 |
| 5. ყვარლის „ . . | 27,2 | — | 0,5 | — | 27,7 |
| 6. ლაგოდეხის „ . . | — | — | — | 1,5 | 1,5 |
| 7. ბორჩალოს „ . . | — | 1,9 | — | 1,3 | 3,2 |
| 8. ლუქსემბურგის „ . . | — | 8,5 | — | — | 8,5 |
| 9. გარე-კახეთის „ . . | — | 2,0 | — | — | 2,0 |
| 10. მცხეთის „ . . | — | — | 10,0 | — | 10,0 |
| სულ აღმ. საქართვ. . . | 186,8 | 12,4 | 12,4 | 14,3 | 225,9 |
| 11. სამტრედიის რაიონი | 47,0 | — | – | 0,7 | 47,7 |
| 12. ვ ა ნ ი ს „ . . | 10,0 | — | — | — | 10,0 |
| 13. ბაღდადის „ . . | 8,8 | — | — | — | 8,8 |
| 14. ზესტაფონის „ . . | — | — | 2,1 | 3,3 | 5,4 |
| 15. ქიათურის „ . . | — | 0,5 | — | — | 0,5 |
| 16. ხორაგოულის „ . . | — | — | — | 0,6 | 0,6 |
| 17. ამბროლაურის „ . . | 2,5 | — | 0,3 | — | 2,8 |
| 18. მარტვილის „ . . | 5,3 | 11,2 | — | — | 16,5 |
| 19. ჩხოროწყუს „ . . | — | 8,0 | — | — | 8,0 |
| 20. აფხაზეთის ავტ. სსრ | — | 21,7 | — | — | 21,7 |
| სულ დასავლეთ საქართ | 73,6 | 41,4 | 2,4 | 4,6 | 122,0 |
| სულ რესპუბლიკაში | 260,4 | 53,8 | 14,8 | 18,9 | 347,0 |

9. ნაყოფმომცემი ვენახების გასხვლა უნდა სწარმოებდეს ფოთლის გაცვენისას მთელი ზამთრის განმავლობაში, სუსხიანი დღეების გარდა. გაზაფხულზე გასხვლა დამთავრებულ უნდა იქნეს კვირტის გავსებამდე. ახალი ვენახები უნდა გაისხლას მხოლოდ გაზაფხულზე მარტის 1-დან აპრილის 1-მდე.

გასხლვის დროს სანაყოფო რქაზე დატოვებულ უნდა იქნეს 6-დან 12-მდე კვირტი, ყურძნის ჯიშისა და ბუჩქის ზრდის ძალოვნების მიხედვით. ყველა ვაზი, რა ხნისაც უნდა იყოს იგი, უნდა გაისხლას დიაფრაგმაზე.

10. 1934 წლის დამყნობის კამპანიისათვის საჭირო სანამყენო მასალის დამზადების გეგმა განისაზღვროს 4 მილიონი ცალის რაოდენობით და შემდეგი განაწილებით:

| რ ა ი ო ნ ე ბ ი: | სანამყენო მასალა (ლერწი) დამზადებულ უნდა იქნეს ათას ცალობით. | | | |
|---|---|---|---|---|
| | საბჭოთა მეურნეობა. | კოლექტ. მეურნეობა და კოოპერატ. ორგანიზ. | სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებ. | სულ |
| 1. გორის რაიონი . . . . . . . . | 150 | — | — | 150 |
| 2. კასპის „ . . . . . . . . | 50 | — | — | 50 |
| 3. გურჯაანის „ . . . . . . . . | 800 | — | 50 | 850 |
| 4. თელავის „ . . . . . . . . | 480 | 550 | 70 | 1.100 |
| 5. სიღნაღის „ . . . . . . . . | 200 | — | — | 200 |
| 6. ყვარლის „ . . . . . . . . | 150 | — | 20 | 170 |
| 7. ლუქსემბურგის . . . . . . . . | — | 200 | — | 200 |
| 8. მცხეთის „ . . . . . . . . | — | — | 50 | 50 |
| სულ აღმოსავ. საქართვ. . . . . . | 1.830 | 750 | 190 | 2.770 |
| 9. ბაღდადის რაიონი . . . . . . | 150 | — | — | 150 |
| 10. ზესტაფონის „ . . . . . . | 300 | — | 50 | 350 |
| 11. ჩ ხ ა რ ი ს „ . . . . . . | 70 | — | — | 70 |
| 12. ამბროლაურის „ . . . . . . | 70 | — | — | 70 |
| 13. მარტვილის „ . . . . . . | 120 | — | — | 120 |
| 14. ჩხოროწყუს „ . . . . . . | 150 | — | — | 150 |
| 15. ჩოხატაურის „ . . . . . . | 70 | — | — | 70 |
| 16. აფხაზეთის ავტ. სსრ . . . . . | 250 | — | — | 250 |
| სულ დასავლეთ საქართვ. . . | 1.180 | — | 50 | 1.230 |
| სულ რესპუბლიკაში: . . | 3.010 | 750 | 240 | 4.000 |

კარგი თვისების სანამყენე მასალის მიღების მიზნით დაევალოს ყველა იმ მეურნეობას, რომელსაც მიცემული აქვს ნამყენის წარმოების დავალებანი, მოუხდინოს მოსავლის აღებამდე ვენახების აპრობაცია; ხოლო სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებმა უნდა გაუწიონ კონტროლი და ინსტრუქტირება ამ მუშაობის ჩატარებას.

11. მოწყობილ იქნეს ამერიკული და ადგილობრივი ვაზის ლერწის სათანადოდ შენახვა, რისთვისაც საჭიროა სარდაფების და მიწური სარაიების მოწყობა, ორმოების ამოთხრა და აგრეთვე ქვიშის დამზადება ლერწის შესანახად; უკვე ნახმარი ქვიშის გამოყენება არ შეიძლება.

12. განისაზღვროს 1934 წლის გაზაფხულზე დამყნობის გეგმა 10.400 ათასი ცალით და შემდეგი განაწილებით რაიონებზე:

| რაიონები: | უნდა დაიმყნას ათასი ცალობით | | | |
|---|---|---|---|---|
| | საბჭოთა მეურნეობებში. | კოლექტ. მეურნ. და კოოპერატ. ორგანიზ. | სამეცნიერო და სასწავლო ორგანიზ. | სულ |
| 1. გორის რაიონი . . . . . . . | 400 | — | — | 400 |
| 2. კასპის „ . . . . . . . . | 150 | — | — | 150 |
| 3. გურჯაანის „ . . . . . . . . | 2000 | — | 150 | 2150 |
| 4. სიღნაღის „ . . . . . . . . | 500 | — | — | 500 |
| 5. თელავის „ . . . . . . . . | 1200 | 1400 | 200 | 2800 |
| 6. ყვარლის „ . . . . . . . . | 400 | — | 50 | 450 |
| 7. ლუქსემბურგის „ . . . . . . . . | — | 500 | — | 500 |
| 8. მცხეთის . . . . . . . . . | — | — | 150 | 150 |
| სულ აღმოს. საქართვ. . . . . | 4650 | 1900 | 550 | 7100 |
| 9. ბაღდადის რაიონი . . . . . . . | 400 | — | — | 400 |
| 10. ზესტაფონის „ . . . . . . . . | 800 | — | 150 | 950 |
| 11. ჩხარის „ . . . . . . . . | 200 | — | — | 200 |
| 12. ამბროლაურის „ . . . . . . . . | 200 | — | — | 200 |
| 13. მარტვილის „ . . . . . . . . | 300 | — | — | 300 |
| 14. ჩხოროწყუს „ . . . . . . . . | 400 | — | — | 400 |
| 15. ჩოხატაურის „ . . . . . . . . | 200 | — | — | 200 |
| 16. აფხაზეთის ავტ. სსრ . . . . . . | 650 | — | — | 650 |
| სულ დასავ. საქართვ. . . . . | 3150 | — | 150 | 3300 |
| სულ რესპუბლიკაში. . . . . | 7800 | 1900 | 700 | 10400 |

13. სასანერგე მეურნეობის გაფართოებისა და სანერგეთა ფართობების პერიოდული ცვლის (ბრუნვის) უზრუნველსაყოფად დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოყონ შესაფერი მიწის ნაკვეთები სასანერგე მეურნეობის მქონე საბჭოთა მეურნეობისათვის შემდეგი ოდენობით:

გურჯაანის რაიონმა—საბჭოთა მეურნეობებისათვის: „გურჯაანი“. . . . 20 ჰექტ.
" " " " „კარდანახი“ . . . 20 "
" " " " „მუკუზანი. “ . . . 20 "
თელავის რაიონმა—საბჭოთა მეურნეობებისათვის: „წინანდალი“ . . .
(კონდოლის სანერგისათვის) . . . . . . . 20 ჰექტ.
" " " " „იყალთო“ . . . 20 ჰექტ.
ზესტაფონის რაიონმა—საბჭოთა მეურნეობისათვის „ვაჩევი“ „(არგვეთი) 20 ჰექტ.
ბაღდადის რაიონმა— " " ვარციხე“ . . . . . 20 "
მარტვილის რაიონმა— " " „სალხინო“ . . . . . 10 "

## III. მყნობის საქმის სამყნობო დანებით უზრუნველყოფის შესახებ.

14. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ სკს-თან—მოაწყოს „კუნდე“-ს ტიპის სამყნობო დანების წარმოება ისეთი ვარაუდით, რომ აუცილებლად ეს დანები 1934 წ. მარტის 1-თვის გამოშვებულ იქნეს არა ნაკლებ 2.000 ცალისა.

## IV. სასუქის შესახებ.

15. მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს ძირითადი მევენახეობის რაიონებში ქონებული ნაკელი ნამყნობი ვაზის სანერგეებში, ამერიკული ვაზის სადედეებში და ვენახებში შესატანად; ნაკელი შეტანილ უნდა იქნეს ნოემბრიდან ნიადაგის შემოდგომა-ზამთარში დამუშავების წინ.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს (სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს) შეადგინოს ნაკელის შეტანის კონკრეტული გეგმა და წარუდგინონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ოქტომბრის 1-თვის.

აიკრძალოს ნაკელის ბუჩქებ ქვეშ დაყრის პრაქტიკა; ნაკელი შეტანილ უნდა იქნეს გაფანტვის მეთოდით და თანაც აუცილებლად ჩახვნით.

16. დაევალოს „სამტრესტს“—შეიტანოს საბჭოთა მეურნეობებში 1933 წლის შემოდგომაზე მინერალური სასუქი ვენახებში 88 ჰექტარ ფართობზე და ამერიკული ვაზის სადედეებში 42 ჰექტარ ფართობზე. დაევალოს მევენახეობის ინსტიტუტს და საქარის საცდელ და ზონალურ სადგურს—გაუწიონ ინსტრუქტირება სასუქის შეტანის საქმეს და აწარმოონ მისი ეფექტიობის აღნუსხვა.

17. ჩატარებულ იქნეს სამეურნეო ცდა არგვეთის საბჭოთა მეურნეობაში (ზესტაფონის რაიონი) სიდერაციის ხაზით—10 ჰექტარ ფართობზე და მოკირვის ხაზით—10 ჰექტარ ფართობზე. უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა ამ საქმისათვის დაეკისროს საქარის საცდელ ზონალურ სადგურს.

### V. მოსავლიანობის აღრიცხვის შესახებ.

**18.** შემოღებულ იქნეს 1933 წლის შემოდგომიდან ვენახების მოსავლიანობის ყოველწლიური აღრიცხვა—მიღებული პროდუქციის აუცილებელი აწონვით ნარგავთა ჯიშისა და ხნის კვალობაზე—მთლად საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ფართობზე; ხოლო ერთპიროვნულ მეურეეობებში მოსავლიანობის აღრიცხვა უნდა მოხდეს შერჩევით შემდეგი რაიონების ტიპურ სოფლებსა და მეურნეობებში და შემდეგი რაოდენობით:

| რაიონები: | სოფლების რიცხვი | მეურნეობების რიცხვი |
|---|---|---|
| 1. გორის რაიონი . . | 2 | 10 |
| 2. კასპის „ . . | 2 | 10 |
| 3. გურჯაანის „ . . | 5 | 25 |
| 4. სიღნაღის „ . . | 3 | 15 |
| 5. თელავის „ . . | 5 | 25 |
| 6. ყვარლის „ . . | 4 | 20 |
| 7. ლაგოდეხის „ . . | 1 | 5 |
| 8. ტფილისის „ . . | 1 | 5 |
| 9. ბორჩალოს „ . . | 1 | 5 |
| 10. ლუქსემბურგის „ . . | 2 | 10 |
| 11. აღბულაზ-მანგ. „ . . | 1 | 5 |
| 12. გარე-კახეთის „ . . | 2 | 10 |
| 13. მცხეთის „ . . | 2 | 10 |
| 14. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . . . . . . . | 1 | 5 |
| სულ აღმოს. საქართველოში | 32 | 160 |
| 15. ქუთაისის რაიონი . . . . . | 2 | 10 |
| 16. სამტრედიის „ . . . . . | 1 | 5 |
| 17. ხ ო ნ ი ს „ . . . . . | 1 | 5 |
| 18. ვ ა ნ ი ს „ . . . . . | 2 | 10 |
| 19. ბაღდადის „ . . . . . | 4 | 20 |
| 20. ზესტაფონის „ . . . . . | 5 | 25 |
| 21. ჩხარის „ . . . . . | 3 | 15 |
| 22. ჭიათურის „ . . . . . | 4 | 20 |
| 23. ხორაგოულის „ . . . . . | 3 | 15 |
| 24. ოკრიბის „ . . . . . | 1 | 5 |
| 25. ო ნ ი ს „ . . . . . | 1 | 5 |
| 26. ამბროლაურის „ . . . . . | 3 | 15 |
| 27. ცაგერის „ . . . . . | 2 | 10 |
| 28. სენაკის „ . . . . . | 1 | 5 |
| 29. მარტვილის „ . . . . . | 1 | 5 |
| 30. ზუგდიდის „ . . . . . | 1 | 5 |
| 31. ჩხოროწყუს „ . . . . . | 1 | 5 |
| 32. ჩოხატაურის „ . . . . . | 2 | 10 |
| 33. აფხაზეთის ავტ. სსრ. . . . | 2 | 10 |
| სულ დასავლ. საქართველოში | 40 | 200 |
| სულ რესპუბლიკაში | 72 | 360 |

**19.** შემოღებულ იქნეს 1933 წლის შემოდგომიდან სასელექციო სამუშაოები—უნაყოფო, მცირეშემოსავლიანი, დაბალხარისხოვანი და დაავადებული ვაზების გამოსარკვევად და შესაცვლელად—ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კო-

ლექტიურ მეურნეობაში მთლად სავენახე ფართობზე. მუშაობა დაწყებულ იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრებულ იქნეს მოსავლის აღების დაწყებამდე.

20. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაუყოვნებლივ გამოყონ სპეციალური მომუშავენი (აგრონომები) მოსავლიანობის აღრიცხვის ჩასატარებლად და, მე-17 და მე-18 მუხლის თანახმად, სელექციის ჩატარებისათვის პრაქტიკული ხელმძღვანელობის გასაწევად.

## VI. ნარგავთა დაცვის შესახებ.

21. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს—დაავალონ საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს—უზრუნველყონ ვენახებისა, ამერიკული ვაზის სადედეებისა და სანამყენო ვაზის სანერგეების მთელი ფართობის ზღუდეების შემოვლება ნარგავთა საქონლის მიშვებით წახდენისაგან დასაცავად.

22. აიკრძალოს ყოველგვარი საქონლის ძოვება ვენახებში, ამერიკული ვაზის სადედეებში და სანამყენო ვაზის სანერგეებში.

## VII. მავნებლებთან ბრძოლის შესახებ.

23. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს—დაავალონ საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს კვირტის ჭიის (ბუკნა ჭიის) გავრცელების რაიონებში (ზესტაფონის, ხორაგოულის, ბაღდადის, ჩხარის, ჭიათურის, ვანის და ქუთაისის რაიონები), ჩაატარონ შემოდგომაზე ვაზებისათვის გამხმარი ქერქის შემოცლა და სარებისა და ჭიგოს ქერქისაგან გაწმენდა. ქერქი უნდა დაიწვას.

24. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ორგანოების ხაზით)—შეიმუშაოს ერთი ღეკადის ვადაზე და წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ვაზის მავნებლებთან ბრძოლის სააღრიცხვო სამსახურის ქსელის გაფართოების გეგმა.

## VIII. საჭირო მასალის დამზადების შესახებ.

25. წინადადება მიეცეს მევენახეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს—მიმდინარე წლის შემოდგომიდანვე მოაწყონ ვენახებისათვის სარებისა და ჭიგოს დამზადება ისეთი ვა-

რაუდით, რომ ეს დამზადება დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1934 წ. თებერვლის 1-ისა.

**26.** შემდგომში საჭიგოო მასალით ვენახების უზრუნველსაყოფად გაშენებულ იქნეს მიმდინარე წლის შემოდგომასვე აკაციის პლანტაციები 400 ჰექტარ ფართობზე შემდეგი რაოდენობითი დანაწილებით:

| რაიონები | გასაშენებელი ფართობი | | | რაიონები | გასაშენებელი ფართობი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საბჭოთა მეურნეობ. | კოლექტ. მეურნეობ. | სულ | | საბჭოთა მეურნეობ. | კოლექტ. მეურნეობ. | სულ |
| 1. გორის რაიონი . . | 5 | 5 | 10 | 12. ქუთაისის რაიონი . . | — | 5 | 5 |
| 2. კასპის „ . . . | 5 | 5 | 10 | 13. ვანის „ . . | — | 10 | 10 |
| 3. გურჯაანის „ . . | 10 | 20 | 30 | 14. ბაღდადის „ . . | 10 | 25 | 35 |
| 4. სიღნაღის „ . . | 15 | 15 | 30 | 15. ზესტაფონის „ . . . | 25 | 35 | 60 |
| 5. თელავის „ . . | 10 | 20 | 30 | 16. ჩხარის „ . . . | 5 | 20 | 25 |
| 6. ყვარლის „ . . | 10 | 10 | 20 | 17. ჭიათურის „ . . . | — | 25 | 25 |
| 7. ბორჩალოს „ . . | 10 | 5 | 15 | 18. ხორაგოულის „ . . . | — | 20 | 20 |
| 8. ლუქსემბურგ. „ . . | — | 5 | 5 | 19. ამბროლაურის „ . . . | — | 10 | 10 |
| 9. გარე-კახეთის „ . . . | 5 | 10 | 15 | 20. ცაგერის „ . . . | — | 5 | 5 |
| 10. მცხეთის რაიონი . . | 5 | 5 | 10 | 21. მარტვილის „ . . . | 5 | — | 5 |
| 11. სამხრეთ-ოსეთის | | | | 22. ჩოხატაურის „ . . . | — | 10 | 10 |
| ავტ. ოლქი . . . . . | — | 5 | 5 | 23. ჩხოროწყუს „ . . . | — | 10 | 10 |
| სულ აღმოს. საქართვ. . . | 75 | 105 | 108 | სულ დასავ. საქართვ. . . | 45 | 175 | 220 |

## IX. ხამეცნიერო დაწესებულებათა დავალებების შესახებ.

**27.** წინადადება მიეცეს მევენახეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტს:

ა) შეიმუშაოს საკითხი მიულერის მრუდის მიხედვით მილდიუსთან ბრძოლის მოწყობის შესახებ—ისეთი ვარაუდით, რომ 1934 წელს მოგვარებულ იქნეს სათანადო მუშაობა სამრეწველო ცდის მასშტაბით;

ბ) გააფართოოს ცდა „ფუზარისზის“ შესწავლისათვის;

გ) შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი ამერიკული ვაზის სადედეებში ფურცლოვანი ფორმის ფილოქსერთან ბრძოლისათვის;

დ) შეიმუშაოს და გამოსცეს პრაქტიკული სახელმძღვანელო საქართველოში გავრცელებულ ვაზის მავნებლებთან ბრძოლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### X. აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ.

28. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—აწარმოოს დასახულ ღონისძიებათა აღსრულების ყოველდეკადური აღრიცხვა.

29. წინადადება მიეცეს ცენტრალური და რაიონული პრესის რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ მევენახეობის საკითხები და ამა დადგენილებაში დასახულ ღონისძიებათა აღსრულება.

---

საქართველოს სსრ. სახალხო კომირთა საბჭო წინადადებას აძლევს მევენახეობის რაიონების ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, სამიწათმოქმედო განყოფილებას, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორს და საბჭოთა მეურნეობის დირექტორს—მოაწყოს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარება ამა დადგენილების დასამუშავებლად საბჭოთა მეურნეობების მუშებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეების მასებს შორის და მიაღწიოს ამა დადგენილებაში დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აგონებს ძირითადი მევენახეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებების გამგეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, რომ მათთვის მევენახეობის შემდგომი განვითარების ამოცანა ისეთივე ძირითადი ამოცანაა, როგორც ძირითადი მარცვლეულობისა, მეცხოველეობისა და მებამბეობის რაიონების საბჭოთა ორგანოებისათვის სამარცვლეულო მეურნეობისა, მეცხოველეობისა და საბამბეო მეურნეობის განვითარების ამოცანა.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. ნოემბრის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 263 №-ში 1933 წ. ნოემბრის 16

---

## 341. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

### უძროხო კოლმეურნეებისათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის შესახებ.

„უძროხო კოლმეურნეებისათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის ნოემბრის 5-ის დადგენილებისა და ამ აქტის განსავითარებლად ა/კსფსრ სა-

ხალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გამოცემული 1933 წლის ნოემბრის 14-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. მოწყობილ იქნეს 1933 წლის გინმავლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უძროხო კოლმეურნეებისათვის სახელმწიფო დახმარება შეღავათიანი პირობებით 10.800 ხბოს შესაძენად.

2. ამ მიზნით:

ა) შეძენილ იქნეს სარძეო-სასაქონლო ფერმებისაგან და განსაზოგადოებული ნახირის მყოლი კოლექტიური მეურნეობებისაგან საქართველოს სსრ-ში 850 ხბო ხნოვანობით 8 თვემდე, იმ ხბოების ანგარიშში მიღებით, რაც გაცემულია სარძეო-სასაქონლო ფერმების მიერ 1933 წელს;

ბ) შეძენილ იქნეს, შესყიდვისა და წინასწარი კონტრაქტაციის წესით, კოლმეურნეებისაგან და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობებისაგან, რომელთაც ჰყავთ ძროხები პირადი სარგებლობისათვის, 9.950 ხბო ხნოვანობით 8 თვემდე.

3. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ხბოების შესყიდვისა და კონტრაქტაციის რაიონობითი გეგმა დამტკიცებულ იქნეს.

4. ხბოების შესყიდვა, როგორც საერთო წესი, წარმოებულ იქნეს სათანადო რაიონის ფარგლებში.

უკეთუ საჭირო იქნება ნაყიდი ხბოების ერთი რაიონიდან მეორე რაიონში გადაგზავნა, ეს ოპერაცია უნდა მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დასტურით.

5. ამა დადგენილების საფუძველზე მოწყობილი უძროხო კოლმეურნეების სახელმწიფო დახმარება ჩატარებულ იქნეს კოლმეურნეთა (კაცთა და ქალთა) მასების ფართო მონაწილეობით; ამასთანავე, პირველ რიგში დახმარება უნდა გაეწიოს საუკეთესო კოლმეურნე-დამკვრელებს.

6. სარძეო-სასაქონლო ფერმებისა და კოლმეურნეთა განსაზოგადოებული ნახირის ნამატიდან (მონაშენიდან) გამოყოფილი ხბოები უნდა გადაეცეს უწყებული კოლექტიური მეურნეობის წევრთ ანგარიშის ნაღდი გასწორებით ან ვადის განაწილებით ერთ წლამდე გამომუშავებული შრომა-დღეების ანგარიშში.

7. ხბოების შეძენის გაადვილების მიზნით იმ კოლმეურნეებს, რომელთაც საშუალება არა აქვთ ნაღდი ფულით გადაიხადონ მთელი სასყიდელი, მიეცეს სახელმწიფოს ხარჯით ფულადი უპროცენტო კრედიტი საშუალოდ ხბოს ღირებულების 50 პროცენტის ფარგლებში, ამ კრედიტის გადახდის ვადის განაწილებით ერთ წლამდე.

8. მცირეძალოვანი კოლმეურნეებისათვის ხბოების შეძენაში საკრედიტო დახმარების გაწევის მიზნით გამოყოფილ იქნეს საქართველოს სსრ-ში სახელ-

მწიფოს ხარჯზე უპროცენტო კრედიტი 355.400 მან. რაოდენობით; აქედან — 17.000 მან. დახმარების გასაწევად სარძეო-სასაქონლო ფერმებისა და კოლექტიურ მეურნეობათა განსაზოგადოებული ნახირის ნამატიდან (მონაშენიდან) ხბოების შეძენისათვის.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი აღნიშნული კრედიტების განაწილების რაიონობითი გეგმა დამტკიცებულ იქნეს.

9. სახელმწიფო საკრედიტო დახმარება გაწეულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო ბანკის სარაიონო განყოფილებათა მეშვეობით; ამასთანავე კრედიტი უნდა მიეცეს თვითეულ კოლმეურნეს ცალკე მასთან დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულების მიხედვით.

უფლება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს აწარმოონ კრედიტების რაოდენობის დიფერენციაცია კოლექტიურ მეურნეობებზე.

10. ხბოები კოლმეურნეთაგან და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობებში შესყიდულ და დაკონტრაქტებულ უნდა იქნეს საკონვენციო ფასების მიხედვით.

11. იმ კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობებს, რომელნიც ჰყიდიან და ჰკვებავენ რძით ხბოებს კონტრაქტაციის წესით უძროხო კოლმეურნეთათვის მისაყიდად, მიენიჭოს შეღავათი სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარებაში 25%-ის დაკლებით წლიურ გეგმაზე და შეღავათი სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებაში 20%-ის დაკლებით წლიურ გეგმაზე.

12. იმ საკოლმეურნეო კომლებს და ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებს, რომელთაც ხბოების გაყიდვისა და კონტრაქტაციის მომენტისათვის შესრულებული ექნებათ თავიანთი ვალდებულებანი 1933 წელს რძისა და ხორცის ჩაბარების ხაზით, ამა დადგენილების მე-11 მუხლში აღნიშნული შეღავათები მიეცეს 1934 წელს ხორცისა და რძის ჩაბარების ვალდებულებათა ანგარიშში.

13. ამა დადგენილების მე-11 მუხლში აღნიშნული მიზნისთვის ხბოების კონტრაქტაციის ხელშეკრულება დარეგისტრირებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოში.

14. ხბოების შესყიდვისა და კონტრაქტაციის ორგანიზაცია დაეკისროს კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობებს.

დაევალოს სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს — გაუწიონ კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს ამ საქმეში ყოველგვარი დახმარება.

თავის კოლექტიურ მეურნეობაში ან ახლო მდებარე კოლექტიურ მეურნეობაში და რაიონში ხბოების ყიდვის დროს ხბოების შერჩევის და ყიდვის საქმეში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ ხბოების შემსყიდველმა კოლმეურნეებმა (კაცებმა და ქალებმა).

15. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს — ფურაჟის შრომა-დღეებზე განაწილების დროს, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვები ფონდების გამოყოფის შემდეგ, უზრუნველყონ ხბოებშეძენილი კოლმეურნენი სათანადო რაოდენობის საკვებით.

16. დაევალოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტებს—შეადგინონ ხუთი დღის ვადაზე სასოფლო საბჭოებსა და კოლექტიურ მეურნეობებში ხბოების გამოყოფისა, შესყიდვისა და კონტრაქტაციის გეგმები და ამ გეგმებს საფუძვლად დაუდვან კოლმეურნეების უზრუნველმყოფელობა ძროხებით და მათი მეურნეობის ძალოვნება.

17. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაამუშაოს და მიაწოდოს რაიონებს, არა უგვიანეს 1933 წლის ნოემბრის 20-ისა, ინსტრუქცია ამა დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

18. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ ხბოების კონტრაქტაციის და შესყიდვის მსვლელობის სადეკადო ანგარიშგება და სათანადო ცნობები მოახსენონ ყოველ დეკადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **პ. აღნიაშვილი.**

1933 წ. ნოემბრის 17.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის" 265 №-ში 1933 წ. ნოემბრის 18.

---

# ვაჭრობა. მომარაგება

## 342. დადგენილება ს.კ.ს.

**ოთხფეხი საქონლის დამზადების გეგმის წარმატებით შემსრულებელ პირთა დაპრემირების შესახებ.**

ვინაიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოთხფეხი საქონლის დამზადების გეგმის თავის დროზე სავსებით შესრულებას მე-IV კვარტალში და ხორცის დამზადების მაქსიმალურად გაშლას 1934 წლის ვალდებულებათა ანგარიშში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სასოფლო საბჭოების იმ თავმჯდომარეებისა და მდივნების, აგრეთვე რაიონებისა და სოფლების იმ მომუშავეების დაპრემირება, რომელთაც წარმატებით შეასრულეს ოთხფეხი საქონლის დამზადების გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადება მიეცეს „საქხორცტრესტს“—გამოყოს ამ მიზნისთვის 18.000 მანეთი.

2. დაწესებულ იქნეს სამი პრემია რაიონებისა და სოფლების მომუშავეებისათვის ოთხფეხი საქონლის დამზადების გეგმის 1933 წლის მე-IV კვარტალში წარმატებით შესრულებისა და 1934 წლის ანგარიშში, ვადამდე დამზადებათა განხორციელებისათვის:

| | | |
|---|---|---|
| 1-ლი პრემია . . . . . | 300 | მან. |
| მე-2 „ . . . . . . | 200 | „ |
| მე-3 „ . . . . . . | 125 | „ |

3. შემოღებულ იქნეს ხორცკომბინატების დირექტორების დაპრემირება ხორცის გადამუშავებისა და გამოზიდვის გეგმის შესრულებისათვის და „ზაგოტსკოტის“ სარაიონო რწმუნებულებისა—ოთხფეხი საქონლის დამზადების გეგმის შესრულებისათვის—თვიური ჯამაგირის რაოდენობით, ხოლო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის—თვენახევრის ჯამაგირის რაოდენობით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს გამოყოს ხორცის ნატურალური ფონდი იმ სარაიონო და სასოფლო მომუშავეების მომარაგების გაუმჯობესებისათვის, რომელთაც ხორცის დამზადების გეგმა წარმატებით შეასრულეს.

5. პრემიები გაიცემა არა უგვიანეს 10 დღისა ოთხფეხი საქონლის დამზადების გეგმის დამთავრებისას, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა და „ზაგოტსკოტის“ სარაიონო რწმუნებულთა წარდგენით, კომისიის მიერ, რომლის შედგენილობაშიც შედიან: საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარი ამხ. ქუჩულორია (თავმჯდომარე), ხორცის ტრესტის მმართველი ამხ. ლიცინოვი და ხორცის ტრესტის სასაქონლო-სანედლეულო სამმართველოს მმართველი ამხ. ჭავჭანიძე.

პრემიები გაიცემა ფულად ან საქონლად დაპრემირებულთა სურვილისამებრ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1933 წ. ნოემბრის 16.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 273 №-ში 1933 წ. ნოემბრის 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელმწიფო დაზღვევა

### 343. დადგენილება ს.ქ.ს.

**1933 წლის შემოდგომაზე ნათესი საგაზაფხულო კულტურების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წლის შემოდგომაზე ნათესი საგაზაფხულო კულტურების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა.

2. დაზღვევა გავრცელებულ იქნეს შემოდგომაზე დათესილ შემდეგ საგაზაფხულო კულტურებზე: ა) ხორბალზე, ბ) ვიკაზე, გ) იონჯაზე, დ) სამყურა ბალახზე და ე) საბოსტნე კულტურაზე.

3. აღნიშნული კულტურების ნათესები იზღვევა დაღუპვისაგან (დაზვრისა, ლბობისა, აშმორებისა და წყალდიდობისგან) დათესვის მომენტიდან ჯეჯილის ამოსვლამდე; ამასთანავე პასუხისმგებლობის ზღვრულ ვადად ინიშნება 1934 წლის მაისის 15.

4. სადაზღვეო პასუხისმგებლობის (სადაზღვეო უზრუნველყოფის ნორმა) ზღვრულ ნორმებად დადგენილ იქნეს:

| | | |
|---|---|---|
| 1) ხორბლისათვის . . . . . | 75 | მან. ერთ ჰექტარზე |
| 2) ვიკასათვის . . . . . . . . | 100 | „ „ „ |
| 3) იონჯისათვის . . . . . . | 145 | „ „ „ |
| 4) სამყურა ბალახისათვის . . | 135 | „ „ „ |
| 5) ბოსტნეულისათვის . . . . | 145 | „ „ „ |

5. ზემოაღნიშნული საგაზაფხულო კულტურების დაღუპვის შემთხვევაში სადაზღვეო საზღაური გაიცემა დადგენილი პასუხისმგებლობის ნორმების ფარგლებში, იმის მიუხედავად, თუ რა კულტურა იქნება ხელახლად დათესილი დაზარალებული დაზღვეული კულტურით ნათეს ფართობზე.

6. სადაზღვეო საზღაური გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სარაიონო სადაზღვეო ინსპექცია სცნობს, რომ დაზარალებული კულტურით ნათესი ფართობი ხელახლად უნდა იქნეს დათესილი, და უკეთუ ეს ხელახალი თესვა ფაქტურად განხორციელებული იქნება; წინააღმდეგ შემთხვევაში მეურნეობა ჰკარგავს სადაზღვეო საზღაურის მიღების უფლებას.

7. სადაზღვეო გადასახდელი 1933 წლის შემოდგომაზე დათესილი საგაზაფხულო კულტურების დაზღვევისათვის განისაზღვროს ყველა ზემოაღნიშნულ კულტურაზე სადაზღვეო უზრუნველყოფის თანხის 7%-ის რაოდენობით.

8. პასუხისმგებლობის ზღვრული ვადის (1931 წლის მაისის 15) გასვლისას, ნათესები მოიხსნება სახელმწიფო დაზღვევის პასუხისმგებლობიდან ამ სახის დაზღვევის ხაზით და შემდგომ დაზღვეულად ჩაითვლება უწყებული ადგილისა-

თვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასაზღვევად დადგენილი სავალდე-
ბულო საგანაკვეთო დაზღვევის საერთო წესისამებრ.

ეროვნული

**9.** შემოდგომაზე დათესილი საგაზაფხულო კულტურების [illegible] ზღვევის გადასახდელი გამოიანგარიშება კოლექტიურ მეურნეობებში ქონების და ოთხფეხი საქონლის საგაზაფხულო რეგისტრაციის დროს, რაც სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისა და სახელმწიფო დაზღვევისათვის; ეს გადასახდელი შეტანილ უნდა იქნეს 1935 წლისათვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვეო გადასახდელის შესატანად დადებულ პირველ ვადაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. ნოემბრის 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 276 №-ში 1933 წ. დეკემბრის 2.

---

# განათლება

## 344. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების მოწყობის შესახებ.**

საქართველოს სსრ-ის ბუნებრივ საწარმოო ძალთა შესწავლის სფეროში სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის განვითარების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად,ადგენენ:

**1.** მოწყობილ იქნეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილება.

**2.** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების გამგებლობაში გადაეცეს შემდეგი სამეცნიერო დაწესებულებანი:

ა) ტფილისის ბოტანიკური ბაღი;

ბ) გეოდეზიური ობსერვატორიის ტფილისის სეისმური სადგური.

აღნიშნული დაწესებულებანი გადაიცემა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების გამგებლობაში ყველა მათი კრედიტით, ქონებით, გაწყობილობით, ინვენტარით, სადგომით და კადრებით.

**3.** წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებას—გაშალოს 1933 და 1934

წლებში მუშაობა სამეცნიერო საქმიანობის შემდეგ დარგებში: გეოლოგიასა, გეოფიზიკასა, ბიოლოგიასა, ნიადაგმცოდნეობასა და ქიმიაში და მოაწყოს სათანადო ინსტიტუტები, ლაბორატორიები და სექტორები.

ბიბლიოთეკა

4. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებას—შეიმუშაოს, საქართველოს სსრ განათლების და ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან ერთად, განყოფილების და მის შედგენილობაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებათა შესანახად საჭირო ხარჯთაღრიცხვა 1934 წლისათვის და გაითვალისწინოს ამ ხარჯთაღრიცხვაში სპეციალური სახსარი ტფილისის ბოტანიკური ბაღის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—შეიტანოს საქართველოს სსრ 1934 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხარჯთაღრიცხვით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების და მის გამგებლობაში მყოფ სამეცნიერო დაწესებულებათა შესანახად საჭირო ხარჯები.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ნოემბრის 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 257 №-ში 1933 წ. ნოემბრის 6.

---

## 345. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ ს.

### კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის დაწესებულებათა მოსაწყობად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისათვის მეტეხის ციხის გადაცემის შესახებ.

ხელოვნების ძეგლთა თავმოყრისა, დაცვისა და სამეცნიერო დამუშავების მიზნით, რათა ეს ძეგლნი გამოყენებულ იქნენ პრაქტიკულად სოციალისტურ მშენებლობაში და მშრომელთა ფართო მასებს შორის ხელოვნებათა ცოდნის გასავრცელებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მეტეხის ციხე, რომელიც თვითმპყრობელობის დროს გადაქცეული იყო საპყრობილედ და, საქართველოს გასაბჭოებამდე, წარმოადგენდა საქართველოს მშრომელი ხალხის და კავკასიის სხვა ერების ჩაგვრისა და დამონავების სიმბოლოს, გადაეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს ხელოვნებათა ცენტრალური მუზეუმის—„მეტეხის“—და სახვითი ხელოვნების სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მოსაწყობად.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს—გაანთავისუფლოს, ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლის თავზე, მეტეხის ციხის შენობა მთლად და გადასცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნისათვის.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინონ 1934 წლის ბიუჯეტში მეტეხის ციხის შენობის კაპიტალურად გადაკეთებისათვის საჭირო სახსარი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1933 წ. ნოემბრის 3.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 255 №-ში 1933 წ. ნოემბრის 4.

---

## ჯანმრთელობის დაცვა

### 346. დადგენილება ს.კ.ს.

**ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი, მიხა ცხაკაიას სახელობის, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი, მიხა ცხაკაიას სახელობის, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი, მიხა ცხაკაიას სახელობის, ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 7-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 13 №-ი, მუხ. 202).

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1933 წ. ნოემბრის 4.
ტფილისი.

---

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს განმგებლობაში მყოფი მ. ცხაკაიას სახელობის, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის შესახებ.

### I. ინსტიტუტის მიზანი და ამოცანა.

1. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტი იმყოფება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში.

2. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტი არის უმაღლესი სამეცნიერო-საკვლევო და სასწავლო დაწესებულება, და მას აქვს ასეთ დაწესებულებათათვის მიკუთვნებული ყველა უფლება და უპირატესობა.

**შენიშვნა.** ტფილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრა თავისი სასწავლო-პედაგოგიური მიზნებისათვის გამოიყენებს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოსთან შეთანხმებით.

3. ინსტიტუტის ამოცანას შეადგენს:

ა) შეისწავლოს და შეიმუშაოს სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული საკითხები კურორტოლოგიისა, ფიზიოთერაპიისა და ორთოპედიის დარგში;

ბ) შეიმუშაოს კურორტთა საქმის დაყენების მეთოდოლოგიური პრინციპები მატერიალისტური დიალექტიკის მიხედვით, რათა მთელი საკურორტო მკურნალობა გარდაიქმნას სოციალისტური მშენებლობის ამოცანებისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებისა და საჭიროების შესაბამისად;

გ) შეიმუშაოს მთელი თემატიკა იმ სამეცნიერო კურორტოლოგიური სამუშაოებისა, რაც ტარდება როგორც თვით ინსტიტუტში, ისე საქართველოს კურორტებში და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებში: აფხაზეთსა, აჭარისტანსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიოს მთელ სამეცნიერო მუშაობას საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის კურორტებზე და წარმართოს ეს მუშაობა;

ე) დაამყაროს მკურნალობის ზუსტი სისტემა თვითეული კურორტისათვის ავადმყოფობის ამა თუ იმ ფორმის მიხედვით;

ვ) გამოიკვლიოს და შეისწავლოს საქართველოს სსრ-ის და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ბუნებრივი სამკურნალო საკურორტო ფაქტორები; შეისწავლოს და შეიმუშაოს სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტი-

მუხ. [illegible]

საკითხები ფიზიოთერაპიისა და ორთოპედიის დარგში; აღმოუჩინოს მშრომელებს სამკურნალო და პროფილაქტიკური ფიზიოთერაპიული და [illegible] დახმარება როგორც საკურორტო მკურნალობის პირობებში, [illegible];

ზ) აწარმოოს მშრომელთა ფიზიკური პროფილაქტიკა; იბრძოლოს საწარმოო მავნებლებთან საკურორტო და ფიზიოთერაპიული ფაქტორების საშუალებით;

თ) მოამზადოს სამეცნიერო მუშაკები კურორტთმცოდნეობის დარგში და აგრეთვე მოამზადოს ექიმები და გააფართოოს მათი ცოდნა; მოამზადოს საშუალო და უმცროსი სამედიცინო და სამეურნეო პერსონალის პირნი კურორტებსა, ფიზიოთერაპიულ დაწესებულებებსა, დიეტურ სასადილოებსა, სამზარეულოებში და სხვ.;

ი) განახორციელოს ინჟინერების, გეოლოგების, მეტეოროლოგების, ქიმიკოსების და ეკონომ-სტატისტიკოსების სპეციალიზაცია საკურორტო საქმეში;

კ) მიავლინოს უმაღლესი კვალიფიკაციის მომუშავენი სსრ კავშირის სამეცნიერო ცენტრებში და საზღვარგარეთ, რათა მათ გააფართოონ თავიანთი ცოდნა კურორტოლოგიისა და საკურორტო მშენებლობის საქმეში;

ლ) შეასრულოს საქართველოს სსრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამართველოს სპეციალური დავალებანი კურორტთა დაგეგმვის და საერთოდ საკურორტო მშენებლობის საკითხების სფეროში;

მ) მისცეს, ინსტიტუტის შედგენილობაში შემავალი საგეგმო-საარქიტექტურო სექტორის მეშვეობით, დასკვნა ყველა სახის მშენებლობის შესახებ საქართველოს სსრ-ის და ავტონომიური რესპუბლიკებისა დი ავტონომიური ოლქის კურორტებში, აგრეთვე ცალკეული კურორტების გენერალური დაგეგმვისა და ამ კურორტებში სპეციალურ ნაგებობათა შესახებ;

ნ) აწარმოოს ბიოკლიმატური ცნობების სისტემატური შეკრეფა და მეცნიერული შემუშავება; დააარსოს ამ მიზნით ბიოკლიმატური სადგურები და უზრუნველყოს ეს სადგურები სათანადო გაწყობილობით; შეკრიფოს და შეიმუშაოს ჰიდრო-გეოლოგიური ცნობები, მოაწყოს ადგილობრივ, საჭიროებისადამიხედვით, ჰიდრო-გეოლოგიური სამუშაოები;

ო) აწარმოოს საკურორტო მკურნალობის შედეგების სამეცნიერო აღნუსხვა;

პ) თავი მოუყაროს საქართველოს კურორტების შესახებ ზუსტ სტატისტიკურ-ეკონომიკურ ცნობებს;

ქ) გამოსცეს ინსტიტუტის შრომები და სამეცნიერო-ლიტერატურული შრომები, რაც გამოხატავს როგორც ცენტრალური იმსტიტუტის მუშაობას, ისე საქართველოს სსრ-ის და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის კურორტებზე ინსტიტუტის ინიციატივით და ხელმძღვანელობით წარმოებულ სამეცნიერო მუშაობას; გაავრცელოს სანიტარული განათლება მშრომელთა ფართო მასებში, ინსტიტუტის კომპეტენციის ხაზით; უზრუნველყოს საკურორტო საქმეში მოპოებულ სამეცნიერო მიღწევათა პოპულარიზაცია; ხელმძღვანე-

მუზ 16

ლობა გაუწიოს სასანიტარო-საკურორტო მუშაობას კურორტებზე [illegible] ველყოს ამ მუშაობის რაციონალიზაცია; მოაწყოს კურორტებზე სასან[illegible] განმანათლებლო ბაზები ცნობებისა და რჩევა-დარიგების მისაცემად და სხვ.;

რ) მოაწყოს ინსტიტუტთან მუზეუმი და ბიბლიოთეკა საკურორტო საქმის დარგში;

ს) მოაწყოს ინსტიტუტთან კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ხაზით სამედიცინო გამოგონებათა, ტექნიკურ გაუმჯობესებათა და სარაციონალიზაციო წინადადებათა ექსპერტიზის განყოფილება.

4. ინსტიტუტს აქვს სალერბო ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

## II. ინსტიტუტის სახსარი.

5. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის სახსარს შეადგენს:

ა) სახარჯთაღრიცხვო ასიგნვები სახელმწიფო ბიუჯეტით—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით;

ბ) მთავარი საკურორტო სამმართველოს სადოტაციო თანხები;

გ) ფიზიოთერაპიული სასყიდლიანი მომსახურეობის შემოსავალი (საწოლი, პროცედურა, სალაბორატორიო გამოკვლევა და სხვ.).

**შენიშვნა.** ინსტიტუტი აღმოუჩენს სტაციონარულ და ამბულატორულ დახმარებას საქართველოს სსრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით გაგზავნილ ავადმყოფებს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახარჯთაღრიცხვო ასიგნვების ფარგლებში.

## III. ინსტიტუტის სტრუქტურა.

6. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის შედგენილობაში შედის:

ა) მეთოდოლოგიური კაბინეტი;

ბ) კლინიკური განყოფილებანი: თერაპიული, ნერვული, გინეკოლოგიური და ორთოპედიულ-ქირურგიული;

გ) პოლიკლინიკური განყოფილება, რომელიც შესდგება ამბულატორიისაგან (თერაპიული, ნევროლოგიური, გინეკოლოგიური, ორთოპედიულ-პედიატრიული, ყურ-ყელ-ცხვირის, დერმატოლოგიური და უროლოგიური კაბინეტები), ტალახსამკურნალოსაგან, წყალსამკურნალოსაგან, ელექტროსამკურნალოსაგან, სხივსამკურნალოსაგან, მექანო-თერაპიული და საინგალაციო კაბინეტებისაგან;

დ) რენტგენო-რადიოლოგიური განყოფილება;

ე) ელექტრო-კარდიოლოგიური კაბინეტი;

ვ) ლაბორატორიები: კლინიკურ-დიაგნოსტიკური, მიკრობიოლოგიური, ბიოქიმიური და ექსპერიმენტალურ-ფიზიოლოგიური ვივარიუმით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) საგეგმო-საარქიტექტურო სექტორი;

თ) ბალნეო-ქიმიური კაბინეტი ლაბორატორიით;

ი) ჰიდრო-გეოლოგიური კაბინეტი ლაბორატორიით;

კ) ბიო-კლიმატური კაბინეტი ლაბორატორიით;

ლ) სოციალური პათოლოგიისა და ჰიგიენის განყოფილება;

მ) სააღრიცხვო-თერაპიული კაბინეტი;

ნ) სტატისტიკურ-ეკონომიკური კაბინეტი;

ო) საინფორმაციო-საგამომცემლო განყოფილება;

პ) გამოგონებათა ექსპერტიზის განყოფილება;

ჟ) მუზეუმი;

რ) ბიბლიოთეკა.

**შენიშვნა.** უკეთუ საჭირო იქნა, განყოფილებების, კაბინეტების და დამხმარე დაწესებულებების რიცხვი შეიძლება გადიდდეს ან შეიცვალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკუროროტო სამმართველოს განსაკუთრებული ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

7. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტთან, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელ ცენტრთან, განუყრელად დაკავშირებულია შემდეგი ფილიალები:

ა) ბორჯომის ბალნეო-ფიზიოთერაპიული ინსტიტუტი;

ბ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ავადმყოფობათა, ნივთიერებათა ცვლისა და გულის მილების სისტემის ავადმყოფობათა შემსწავლელი ბორჯომის კლინიკური სანატორიუმი;

გ) ფილტვის ტუბერკულოზის შემსწავლელი აბასთუმანის კლინიკური სანატორიუმი;

დ) ართრიტულ ავადმყოფობათა, გულის მილების ავადმყოფობათა, ნერვულ და აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის ავადმყოფობათა შემსწავლელი წყალტუბოს სანატორიუმი;

ე) წყალტუბოს ბალნეო-ფიზიოთერაპიული ინსტიტუტი;

ვ) ახტალის ბალნეო-ფიზიოთერაპიული ინსტიტუტი;

ზ) ექსპერიმენტალური ლაბორატორია ჯავაში;

თ) ბალნეოლოგიური სადგური ტფილისში.

## IV ინსტიტუტის პირადი შედგენილობა.

8. ინსტიტუტის შედგენილობაში შედიან: სამეცნიერო დარგის მომუშავენი, ასპირანტები, სამეცნიერო-ტექნიკური და ადმინისტრატიულ-ტექნიკური მომუშავენი.

ინსტიტუტის პირადი შედგენილობა განისაზღვრება მისი შტატით, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკუროროტო სამმართველო.

**შენიშვნა.** საშტატო თანამშრომელთა გარდა, ინსტიტუტში შეიძლება დანიშნულ იქნენ შტატგარეშე (უჯამაგიროდ) თანამშრომლები საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს განსაკუთრებული ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში. სამეცნიერო მუშაობის მხრით შტატგარეშე თანამშრომლებს აქვთ საშტატო თანამშრომელთა უფლებები; შტატგარეშე თანამშრომელნი ესწრებიან საბჭოს სხდომებს, მაგრამ მათ აქვთ სათათბირო ხმის უფლება.

**9.** სამეცნიერო-პედაგოგიკური და სამეცნიერო-საკვლეო მუშაობისათვის მოსამზადებლად ინსტიტუტში შეიძლება მივლინებულ იქნენ ასპირანტები. ასპირანტების გაგზავნა ინსტიტუტში და აგრეთვე მათი მომზადება მოწესრიგდება ამ საგანზე არსებული კანონმდებლობის მიხედვით.

**10.** იმ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, ინსტიტუტთან, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს განსაკუთრებული ნებართვით, შეიძლება მოეწყოს მეცადინეობა მთავარი საკურორტო სამმართველოს მიერ მივლინებულ პირებთან (პრაქტიკანტებთან), თანახმად არსებული დებულებისა.

**11.** დირექტორი არის პასუხისმგებელი პირი და მთავარი ხელმძღვანელი ინსტიტუტის მთელი მუშაობისა.

**12.** ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ამტკიცებს ინსტიტუტის სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვებს, გეგმებს და ანგარიშებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოში წარსადგენად;

ბ) ამტკიცებს სამუშაოთა განაწილებას ინსტიტუტის შიგნით და აგრეთვე ძირითად სამუშაოთა განაწილებას ინსტიტუტის ფილიალებში—კურორტებზე;

გ) წარუდგენს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს კანდიდატებს სამეცნიერო და სამეცნიერო-საადმინისტრაციო თანამდებობებზე ინსტიტუტში და საქართველოს კურორტებში და აგრეთვე ინსტიტუტის ასპირანტების კანდიდატებს;

დ) განაგებს ინსტიტუტის საადმინისტრაციო-საფინანსო დარგს;

ე) სდებს ინსტიტუტის სახელით ქონებრივი ხასიათის ყოველგვარ ხელშეკრულებას და ვალდებულებას;

ვ) ამტკიცებს ინსტიტუტის საბჭოს მიერ შეტანილ საკითხებს;

ზ) აწყობს კურსებს კურორტოლოგიისა, ბალნეოთერაპიისა და ფიზიოთერაპიის სპეციალისტების და ყველა კვალიფიკაციის მომუშავეების მოსამზადებლად და მათი ცოდნის გასაფართოებლად.

**13.** ინსტიტუტის დირექტორს ნიშნავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველო.

14. ინსტიტუტის დირექტორის დასახმარებლად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველო, ინსტიტუტის დირექტორის წარდგენით, ნიშნავს თანაშემწეებს:

ა) საადმინისტრაციო-საფინანსო-სამეურნეო დარგში;

ბ) სამეცნიერო-სასწავლო დარგში.

შენიშვნა 1. დირექტორის თანაშემწე სამეცნიერო-სასწავლო დარგში იმავე დროს არის ინსტიტუტის სწავლული მდივანი. ინსტიტუტის სწავლული მდივანი აწარმოებს ინსტიტუტის სამეცნიერო მიწერ-მოწერას, ადგენს მუშაობის გეგმას, ანგარიშებს და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ოქმებს.

შენიშვნა 2. როცა ინსტიტუტის დირექტორი არ არის, მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი თანაშემწე, ვისაც დირექტორი დანიშნავს.

15. ინსტიტუტის სამეცნიერო მოწუშავენი განიყოფებიან მუდმივ და დროებით მომუშავეებად; მუდმივი მომუშავეები არიან უფროსი და უმცროსი სამეცნიერო თანამშრომელნი და დროებითი მომუშავეები—ორდინატორები (სამსახურის ვადა—სამი წელიწადი).

შენიშვნა. ინსტიტუტს უფლება ეძლევა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს განსაკუთრებული ნებართვით, მოიწვიოს თავის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სხვა ქალაქების მომუშავენი უფროს სამეცნიერო თანამშრომელთა უფლებით; ასეთ მომუშავეებს აქვთ ინსტიტუტის შტატგარეშე თანამშრომელთა უფლებები.

16. უფროსი სამეცნიერო მომუშავენი ხელმძღვანელობას უწევენ განყოფილებების მუშაობას; აწარმოებენ, თანახმად საწარმოო გეგმისა, ინსტიტუტის დავალებით, დამოუკიდებელ გამოკვლევებს და სამეცნიერო-პოპულარულ მუშაობას; ხელმძღვანელობას უწევენ ასპირანტურის მეცადინეობას; ხელმძღვანელობენ დამოუკიდებელ კურსებს ინსტიტუტის დირექტორის დავალებით.

17. უმცროსი სამეცნიერო თანამშრომელნი და ორდინატორები ემზადებიან სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობისათვის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის დარგში და ეწევიან სამეცნიერო მუშაობას განყოფილებათა გამგეების ხელმძღვანელობით, ასრულებენ უფროს სამეცნიერო თანამშრომელთა დავალებებს სხვადასხვა გამოკვლევებისა, ცდებისა და ავადმყოფთა დაკვირვების სფეროში, ადგენენ ავადმყოფობათა კლინიკურ ისტორიას.

18. ინსტიტუტში საშტატო თანამდებობაზე მომუშავეთა მიღება და დათხოვნა მოხდება ამ საგანზე არსებულ კანონდებულებათა თანახმად.

## V. ინსტიტუტის საბჭო.

19. ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის საკითხების ყოველმხრივ გაშუქებისა და განხილვისათვის ეწყობა ინსტიტუტის საბჭო დირექტორის თავმჯდომარეობით; საბჭოს შედგენილობაში შედიან: დირექტორის ორი თანაშემწე, უფ-

როსი სამეცნიერო თანამშრომელნი, აგრეთვე უმცროს სამეცნიერო თანამშრომელთა, ორდინატორთა და ასპირანტთა წარმომადგენელნი, თვითეული მათგანის რიცხვის პროპორციულად, ხოლო საერთოდ—არა უმეტეს უფროს თანამშრომელთა რიცხვისა, და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელნი.

**შენიშვნა.** ინსტიტუტის მუშაობით დაინტერესებულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს თანხმობით, გაგზავნონ თავისიანი წარმომადგენელნი საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით.

**20.** საბჭო განიხილავს:

ა) ინსტიტუტის სამეცნიერო სამუშაოთა გეგმებს და ამ სამუშაოთა განაწილებას როგორც ინსტიტუტის შიგნით, ისე ფილიალებსა და კურორტებს შორის;

ბ) ინსტიტუტის სამეცნიერო მომუშავეებისა და კურორტების პერიოდულ ანგარიშებს და მოხსენებებს;

გ) ინსტიტუტის და კურორტების სამეცნიერო მომუშავეებად დასახელებულ კანდიდატებს;

დ) სამეცნიერო მომუშავეების სამეცნიერო შრომებს;

ე) წინადადებას კონფერენციის, თათბირის თუ ყრილობის ორგანიზაციის შესახებ;

ვ) ყველა საკითხს, რასაც ინსტიტუტის დირექტორი შეიტანს საბჭოში განსახილველად.

**21.** საბჭოს სხდომები მოეწყობა არა ნაკლებ, ვიდრე ერთხელ სამ თვეში, და საჭიროებისადამიხედვით.

**22.** საბჭოს ყველა სხდომისათვის შესდგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი; საბჭოს მდივნად არის ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

## VI. ინსტიტუტის კონფერენციები (შინაგანი).

**23.** რათა მოსმენილ და განხილულ იქნეს რეფერატები, მოხსენებები, დემონსტრაციები და ყოველგვარი სამეცნიერო საკითხები, რაც ინსტიტუტის საბჭოში განსახილველად არ შეიტანება, დირექტორი მასალის დაგროვების მიხედვით, ხოლო არა ნაკლებ, ვიდრე თვეში ერთხელ, მოიწვევს ინსტიტუტის სამეცნიერო მომუშავეებისა, ორდინატორებისა და ასპირანტების კონფერენციას.

კონფერენციის ოქმს შეადგენს სამეცნიერო მომუშავე (ან ორდინატორი, ან და ასპირანტი), რომელსაც ეს კონფერენცია აირჩევს განსაზღვრული ვადით.

## VII. ინსტიტუტის ლიკვიდაცია.

**24.** კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ლიკვიდაციას მოახდენს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# განრიგება

## საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებულის

## უფასოდ დაგზავნისათვის 1934 წელს

| №№ რიგზე | დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი | ცალების რიცხვი |
|---|---|---|
| 1 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს . . . . . . . . . . | 5 |
| 2 | სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს . | 2 |
| 3 | სასოფლო საბჭოებს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 4 | საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს . . . . . . . . . . . . . | 3 |
| 5 | საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს . . . . | 7 |
| 6 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს . . . . . | 2 |
| 7 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს . . . . . . . . . . . . . | 3 |
| 8 | საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს. . . . . . . . . . . | 12 |
| 9 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს . . . . . . . . . . . . | 5 |
| 10 | სახალხო სასამართლოებს . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 11 | სარაიონო პროკურორებს . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 12 | სახალხო გამომძიებლებს . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |

ფასი 60 კაპ.

მთავლიტი № 103. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 2089. ტირაჟი 1.500.